

# ბიზნეს სუბიექტები... 2016 (9)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის სექტემბერის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 4 228 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 96.1% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 3.9% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.966 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. სექტემბრის თვეში დაფიქსირდა ზრდა როგორც წინა თვესთან (5.7%-ით), ასევე, წინა წლის იმავე თვესთან (9.6%-ით) შედარებით.

2016 წლის სექტემბრის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 6.3%-ით გაიზარდა, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 7.8%-ით შემცირდა. განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 8.6%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 38.3%-ით გაიზარდა.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.956 და 1.307 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. სექტემბრის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (2 209 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 52.2%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 809 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 42.8%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 95.0% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 165 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 21 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 17 კოოპერატივი, 6 სააქციო საზოგადოება და 1 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი.

ა. წ. სექტემბრის თვეში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით გამოიყო ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული და გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების ზრდა/კლების ტენდენცია (წინა თვესთან და წინა წლის იმავე თვესთან შედარებით).

**P.S.** დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... სექტემბერი, 2015-2016

(ბ) ცხრილი - რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული... სექტემბერი, 2016

(გ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

(ა) ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა  
სექტემბერი, 2015-2016

ინდიკატორები	ზ.ე.	სექტემბერი	
		2015	2016
<b>რაოდენობა</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	3739	4062
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	120	166
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	3859	4228
<b>სტრუქტურა</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	96.9	96.1
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.1	3.9
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
<b>ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	34.9	6.3
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	66.7	-7.8
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	35.7	5.7
<b>ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-8.7	8.6
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	15.4	38.3
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-8.1	9.6
<b>ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.880	0.956
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.945	1.307
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.882	0.966
<b>რაოდენობა</b>			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	2031	2209
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1	0
კოოპერატივი	ერთეული	54	17
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1640	1809
სააქციო საზოგადოება	ერთეული	4	6
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	9	21
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	118	165
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	0	1
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	2	0

(ბ) რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული. სექტემბერი, 2016

#	ტერიტორიული ერთეული	რაოდენობა		პროცენტი
		სექტემბერი 2016	სექტემბერი 2015	აგვისტო 2016
1	თბილისი	1710	10.8	13.5
2	ბათუმი	210	-3.7	0.0
3	ქუთაისი	172	-6.5	-27.1
4	ახმეტის მუნიციპალიტეტი	128	374.1	178.3
5	რუსთავი	128	1.6	60.0
6	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	116	54.7	-7.9
7	თვითმმართველი თემი გორის მუნიციპალიტეტი	86	83.0	218.5
8	დუშეთის მუნიციპალიტეტი	66	230.0	94.1
9	თვითმმართველი ქალაქი გორის მუნიციპალიტეტი	65	47.7	54.8
10	მარნეულის მუნიციპალიტეტი	65	-1.5	6.6

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2016

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016

ახალი ბიზნეს სუბიექტები (ერთეული)

